კვირა, 6 ივლისი 1919 წ.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი მისამართით უნდა გამოგზავნონ: ამიერ-კავკასიის კოოპერ. კავშირს „კავშირისთვის“

წელიწადი მესამე | ფასი 3 მან.

კავშირი

ორგანო ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირისა

№ 15—16 | ყოველ კვირეული საკოოპერაციო ჟურნალი. | № 15—16

დაუბეჭდავ-საჟურნალო მასალას რედაქცია არ ინახავს. ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.

შინაარსი: 1) საქართველოს კოოპერატიული ბანკი. 2) საქართვ. კოოპერ. ბანკის საორგანიზაციო კომიტეტისაგან. 3) საქართველოს კოოპერატივებში მოსამსახურეთა ყრილობის ოქმი. 4) გორის რაიონის კოოპერატ. კავშირის კრება. 5) კერძო ბედნიერება (ფელეტონი)—ვ. ბარნოვი. 6) ქრონიკა.

იყიდება ყოველგან

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის მიერ გამოცემული

ჟურნალი

შვიდი მნათობი

№ 1 — ფასი 25 მანეთი — № 1

6118

ბიბლიოთეკა-მუზეუმი
Библиотека-Музей

საქართველოს კოოპერატიული ბანკი.

დიდი ხანი არ არის რაც საქართველო მონობისაგან განთავისუფლდა და ცალკე სახელმწიფო ერთეულად ჩამოყალიბდა. ახლად აღორძინებული საქართველო განთავისუფლების დღიდანვე სწრაფად და მუყაითად შეუდგა აღმშენებლობითი მუშაობას ჩვენი ცხოვრების ყოველ დარგში. ასეთი მისი მუშაობა დამყარებულია უმთავრესად დემოკრატიულ ძალებზე. საქართველოს თავისუფლება და საკუთარი სახელმწიფოებრიობა მოპოებულ იქმნა მხოლოდ დემოკრატიულ ძალთა შემწეობით და, რასაკვირველია, შემდეგი მუშაობა სახელმწიფოს განმტკიცებისა მხოლოდ და მხოლოდ ამ ძალებზე უნდა იყვეს დამყარებული და ჩვენი ცხოვრების ყველა დარგში ეს ძალები უნდა იყვეს ამუშავებული.

საქართველოს საკუთარ სახელმწიფოებრიობის და თავისუფლების საბოლაო განმტკიცება დამოკიდებულია მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი ეკონომიურ ცხოვების აღორძინება-გამაგრებაზე. თუ ჩვენ ეკონომიურად სუსტი და სხვის ხელის შემაცქერალნი ვიქნებით, ჩვენი თავისუფლება და საკუთარი სახელმწიფოებრიობა მხოლოდ სიტყვიერი იქნება და საქ[…]
მით კი სხვისი მონა მორჩილნი ვიქნებით. ამიტომ[…]
მთავრობის და ხალხის მთელი ყურადღება ჩვენი[…]
ცხოვრების ამ დარგზე უნდა იყვეს მიპყრობილი და[…]
ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ მხრივ ასაყვავებლად უნდა[…]
გამოყენებულ იქნეს ის ძალა, რომელმაც თავისუფ-
ლება შეგვძინა, ე. ი. დემოკრატიული სახალხო და-
წესებულებანი.

ჩვენდა საბედნიეროთ ასეთი ეკონომიური სახალ-
ხო დაწესებულებანი ჩვენ ხელთა გვაქვს. ეს არის[…]
ჩვენი კოოპერატიული დაწესებულებანი, რომელნიც[…]
ამ ჟამად აკავშირებენ მთელ ჩვენ დემოკრატიას.[…]
კოოპერაცია, რომელიც დიდი ხანი არ არის ჩვენს[…]
ქვეყანაში განვითარდა, ანვითარებს რა ხალხში თვით-
მოქმედება-თვითშეგნების პრინციპებს, ხალხისავე ძა-
ლებით საუკეთესოდ ემსახურება ხალხის ეკონომიურ[…]
მხრივ აღორძინებასაც. და აი ასეთი სახალხო-ეკო[…]
ნომიურ დაწესებულებების განვითარება საუკეთესო[…]
თავდები იქნება ჩვენი სახელმწიფოებრივი განმტკი[…]
ცებისაც. ამიტომ მთელი ჩვენი ყურადღება და ყუ[…]
რადღება სახელმწიფო მესვეურთაც ამ დაწესებულე[…]
ბათა განვითარებისაკენ უნდა იყვეს მიპყრობილი.

კოოპერაციას ნიადაგი აქვს ხალხის ეკონომიკ[…]

ფელეტონი.

პერძო ბედნიერება.

*
* *

მთლად ბედნიერი ქვეყანაზედ არავინ არის. უთუოთ იჩენს თავს კაცთ ცხოვრებაში რამე ნაკლი და ფასს დაუკარგავს სიამეს თუ კმაყოფილებას. ცხოვრებაში ბედნიერად მიჩნეულ ადამიანზედ ვამბობ ამას, თორემ უბედურ ვარსკვლავზედ დაბადებულს ხომ გარშემორტყმული აქვს ყოველი ავი, გულის ვარამი.

გახსოვს, ბრწყინვალე ხელმწიფე რომ ეძებდა თავის საბრძანებელში ბედნიერ ადამიანს და ვერ იპოვნა? ერთი მოგვარეს ყოვლად შემკული, ჭაბუკი მშვენიერი, მდიდარი, ლამაზი ცოლის პატრონი, ერთის შეხედვით ყოველ სისრულით სავსებით სავსე, სიკეთე ჭარბი; მაგრამ როცა იმან კეისარის წინ აღიარა ერთი თვისი გარემოება, ისეთი ნაკლი დაინახა იმაში მბრძანებელმა, ისეთი უშრეტი საგუბარი მძიმე სევდისა, რომ შეშფოთდა სიბრალულით.

—რატომ მაშინვე არა სთქვი, რა უბედურობა დაგმართია, შე საცოდავო? ჰკითხა მეფემ.

ბედნიერმა ისეთის მწუხარებით შეხედა მეფეს, რომ იმან ცხადად დაინახა კითხვის უადგილობა, მთლად უფერობა.

—ხომ გახსოვს იმ კაცის უბედურება?

—ვიცი!

*
* *

ბუნებისაგან ყოვლად შემკული და ცხოვრებისაგა[…]
გალაღებული ცოლ-ქმარი ნამდვილ ბედნიერად მოსჩანდნე[…]
თავიანთ მდიდარ სასახლეში, სავარდეებით დამშვენებუ[…]
ეზო-ყურეში, რომელს გარს შემორტყმოდა იმათი მადლია[…]
ნი მამულ-დედული. სწორედ ბედნიერებიც იქნებოდნე[…]
ისინი თავიანთ თვალშიც, მთლად კმაყოფილნი, თ[…]
ღმერთს ეკურთხებინა მათი კავშირი და ბალღების ტიტ[…]
ნით აეხმაურებინა მათი ოქროს კერა. უშვილოები იყვნე[…]
და იმას დარდობდნენ. ეს იყო იმათი მუდმივი ვარამი. თ[…]
ახალ ტანისამოსს შეიკერავდა ქალი და შრიალით გაი[…]
ლიდა ქუჩა-უბანში, გვერდზედ გადიხედავდა, ხელსაც გა[…]
წვდიდა, თითქო პატარა უჭირავს და თან მიიყოლებს[…]
ოცნების თვალით მაინც იქვე მისდევდა იმას მისი ელიკ[…]
თმახუჭუჭა ფუნთუშა ბალღი გაზაფხულის ყვავილივ[…]
მოსილ-მოკაზმული; მისი ბაკიბუკიც კი ესმოდა გატაც[…]
ბულს და ისე ცხადად, რომ უნებლიეთ გადახედავდა ც[…]
ლიერ ადგილს. გული სწყდებოდა ქალს: აგერ ხუთი წ[…]
ლიწადი იყო, რაც გათხოვილიყო, შვილი კი არა ჰყვანდ[…]
მისი სიყვარულის ყვავილ-ნაყოფი; არ აკურთხა ზეცამ ნ[…]
ყოფიერებით მისი ცხოვრება კეთილით სავსე.

—ნეტა ისეთი რა შევცოდე ღმერთს, რომ არ გ[…]
მეტა ჩემთვის თავისი მადლი, ლოცვა კურხევა?! ჰკვირო[…]
და ქალი.

აბა რას აწყენინებდა ღმობიერი ხასიათის ევა, მოს[…]

ყოველივე დარგში: კოოპერაცია აკმაყოფილებს მომხმარებელთა მოთხოვნილებებს და ამით კერძო ვაჭრობის აპარატის საჭიროებას სპობს; კოოპერაცია აკმაყოფილებს მწარმოებელთა მოთხოვნილებას, თვითონვე აწყობს წარმოებას და ამით სპობს საჭიროებას კერძო კაპიტალისტურ წარმოებისას; კოოპერაცია აკმაყოფილებს როგორც მომხმარებელთ, აგრეთვე მწარმოებელთ ფინანსების (ფულის) მხრივ და ამით სპობს საჭიროებას კერძო კაპიტალისტურ ბანკებისას და სხვა და სხვა. ერთის სიტყვით კოოპერაციის საშუალებით ეკონომიური მხრივ ხალხი თავის საკუთარ ბატონ-პატრონად ხდება, ყოველივე შუამავლობას თავიდან იცილებს და ეკონომიურ თანასწორობას ამყარებს. ეკონომიურ ცხოვრების ყველა დარგში კოოპერაცია ვითარდება თანდათანობით და საბოლოოთ იგი უეჭველია, რომ ყველა დარგში გამეფდება.

ჩვენში კოოპერაციის განვითარება უმთავრესად საკრედიტო დარგიდან დაიწყო. მაგრამ ომიანობის გამო ეკონომიურმა არევდარევამ ეს დარგი კოოპერაციისა თითქმის სრულიად შეაჩერა და სამაგიეროდ ფართე ასპარეზი გადაუშალა მეორე დარგს —სამომხმარებლო კოოპერაციას. ჩვენში სამომხმარებლო კოოპერაცია სულ მცირე ხანში ისე სწრაფად გაიზარდა, რომ დღეს ჩვენ ქვეყანაში აღარაკი მოიპოვება ისეთი კუთხე, რომ სამომხმარებლო კოოპერატივი არ იყვეს. თითქმის მთელი ჩვენი ხალხი ჩარეულია ამ მოძრაობაში. 1919 წლის 1 იანვრისთვის საქართველოს ტერიტორიაზე ითვლებოდა 1000-მდე კოოპერატივი; ეს კოოპერატივები აკავშირებენ 260,612 ოჯახს, ხოლო, თუ თვითეულ ოჯახში ვიანგარიშებთ საშუალოდ ოთხ სულს, კოოპერატივებში შეკავშირებული იქნება 1.042.448 სული მცხოვრები, ანუ დაახლოვებით 41,9% მცხოვრებთა საერთო რიცხვისა. ამასთანავე კოოპერატივები წარმოადგენენ საგრძნობ ეკონომიურ ძალას. მაგალითისთვის მოვიყვანთ ცნობებს 250 კოოპერატივის შესახებ, რომელთა ცნობები ხელთა გვაქვს. ამ კოოპერატივებში 1918 წლის 1 იანვრისთვის 2.131.038 მან. საკუთარი თანხა ტრიალებდა, 2.960.847 მ. ნასესხი და 1.146.847 მან. წმინდა მოგება. ამავე კოოპერატივებში საქონელი იყო 3.952.837 მან., ნაღდი ფული 2.392. 050 მან., ქონება და სხვა გაცემული თანხები—363. 833 მან. თუ 250 კოოპერატივში ამოდენა თანხები ტრიალებდა, რასაკვირველია, 1000 კოოპერატივში და-

---

ყვარულე ან ღმერთს, ან კაცს?! არაფერს, სრულიად არაფერს! მაგრამ განგებას რომ ის ყოველივე საუნჯით აევსო, ნივთიერი თუ სულიერი სიკეთით, თან მაინც ეს გულის ნაკლი დაეტანებინა: მართლა და ბედნიერად არ იგრძნოსო თავი, ყოვლად ნეტარად. ევას იღბლიანობას ეს დარდი ჰფენდა უსიამოვნო ჩრდილს.

რად მინდა ეს ამოდენა ეზო-ყურე ველის ყვავილით მთლად მოფენილი, სავარდეები აივანის წინ, ან ხეხილები კარ წინ ბაღჩაში, თუ ყვავილებში არ დაცქრიალებს ელიკო ჩემი, ყვავილი მოლიმარე ჩემის სიყვარულისა!? გაიფიქრებდა ქალი.

და სევდის ცრემლი მოადგებოდა თვალებზედ, როცა გაიხსენებდა, რომ აგერ რამდენი წელიწადი იყო ნატრობდა დედობას, ბედი კი არ უსრულებდა ამ უბრალო ნატვრას.

—დაილოცა, უფალო, შენი სამართალი! ზოგს ისე გაამთავნიერებ და გაამრავლებ, შვილთა სიმრავლე დარდებს უმატებს, შიშის ზარსა სცემს უილაჯოს მათი გამოკვება თუ აღზრდა; ზოგს კი მოაკლებ ამ შენს წყალობას და ხშირად სწორედ ჩემისთანას, რომელსაც შენგან მოცემული წყალობის გამო სრულებითაც სადარდელად არა აქვს ის, როგორ დავაპურო თუ ავაღორძინო ჩემი ნაშენიო.

სადილზედ თუ ვახშამზედ, დილით თუ ღამე, განკერძოებულ ყოფის დროს თუ სტუმრობაში ეს უჩუმარი დარდი არ ჰშორდებოდა ქალს. ნაღველი უორკეცდებოდა მეტადრე მაშინ, როცა ნაცნობი ქალები ეწვევოდნენ ბალღებიანნი. ის უფრო სწყინდა გულკეთილ ევას, რომ ამ შემთხვევაში რაღაცა უსიამოვნო შურსა გრძნობდა მისი ლმობიერი სული კეთილს ჩვეული. არა, არავის კი აგრძნობინებდა ამ შურს, უფროც უალერსებდა სტუმრად მოსულ ყმაწვილებს და ასიამოვნებდა, მაგრამ გულის სიღრმეში ტკივილსა გრძნობდა, თითქო რამ კვნესას.

თუ სადმე ყმაწვილების დღესასწაული გაიმართებოდა, იქ კი სწორედ უყისმადოთა სთვლიდა თავის თავს. არ წასულიყო, არ იქნებოდა: ეწყინებოდათ კარგ ნაცნობებს; წასულიყო და გული უკვდებოდა, რომ ამ მოკეკვავე ყვავილთა თუ მოფარფატე პეპელათა შორის არ იყვნენ მისი ელიკო, მისი შალიკო. ქალ-ვაჟსა ნატრობდა მანდილოსანი და უთუოდ ამ სახელებით. ლოკულობდა, ევედრებოდა, ცრემლით შესთხოვდა, მსხვერპლს აღუთქვამდა, ბევრსაც სწირავდა. არ ესმენდა ი დალოცვილი! ხატს მისთვის ყური არ ჰქონდა სმენად, არც თვალნი ხედვად. მისნობასაც ბევრჯერ მიმართა, მკითხაობასა, მაგრამ ამაოდ: ეშმაკსაც თუ აღარ ეცალა ამ ევასათვის.

გარეშეთათვის მთლად ბედნიერი იყო კარგი ვაჟკაცისაგან სიყვარულით შერთული ევა, ქმრისაგან სათუთად შენახული, ნებივრებული, ყველასაგან პატივცემული, თითონ მანდილოსანი არ იყო თავის ხვედრით კმაყოფილი, სავსებით დამტკბარ დამშვიდებული: მის ბედნიერებას ეს ხინჯი ჰქონდა მეთქი, შავ ლაქად დამჩნეული ნამზნევი ადგილი. და ეს იარა უფრო იზრდებოდა, მუქდებოდა, საშიშრად ფართოვდებოდა; ტკივილებიც თანდათან ემატებოდა.

ახლოვებით ოთხჯერ მეტი თანხები იქნებოდა. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ თითქმის ყველა კოოპერატივები ერთი ან ორი წლის დაარსებულნი არიან, ამ ციფრებიდან აშკარა იქნება, თუ რა სწრაფი ნაბიჯით ძლიერდება სამომხმარებლო კოოპერაცია. ამასთანავე ჩვენ თუ გავითვალისწინებთ სამომხმარებლო ადგილობრივ კოოპერატიულ და ცენტრალურ კავშირების ოპერაციებს და მათში თანდათანობით საწარმოო დარგების განვითარებას, მაშინ უფრო ცხადი იქნება სიძლიერე ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაციისა. ამისთვის საკმარისია ვიცოდეთ, რომ მარტო ცენტრალურმა კავშირმა 1918 წლის განმავლობაში 15.568.506 მ. საქონელი მიაწოდა მოკავშირე კოოპერატივებს და ამის გარდა 44.524 მ. საკუთარი ნაწარმოები საქონელი.

აი ასეთია საერთო სურათი ჩვენი სამომხმარებლო კოოპერაციის მოძრაობისა. მაგრამ მისი მოძრაობა ამ მდგომარეობაზე ვერ გაჩერდება. სამომხმარებლო კოოპერაციის ოპერაციები დღითი დღე ვითარდება; ცხოვრება ყოველ დღე ახალ ახალ მოთხოვნილებებს უყენებს კოოპერაციას და ხალხი მისი შემწეობით ეკონომიურ ცხოვრების გაუმჯობესებას მოელის. ყოველგვარ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად და ოპერაციების გასაფართოვებლად კი კოოპერაციას აუცილებლად სჭირდება კოოპერატიული გზითვე შეგროვილი თანხები. ამისთვის-კი საჭიროა გამოცოცხლება ჩვენი საკრედიტო კოოპერაციისა ადგილობრივ და შექმნა ისეთი ცენტრალურ კოოპერატიულ ფინანსიურ დაწესებულების, რომელიც საკრედიტო კოოპერაციასაც გამოაცოცხლებს და სამომხმარებლო კოოპერაციასაც მიაწოდებს საჭირო თანხებს.

დღეს ჩვენი ცხოვრება ცოტათ თუ ბევრად ნორმალურ კალაპოტში სდგება. თანდათანობით ეყრება საძირკველი ხალხში ნორმალურად ფულის ტრიალს და ამას უფრო ხელს შეუწყობს გამოცოცხლება ისეთ სხვადასხვა ფინანსიურ დაწესებულებებისა, რომელნიც ხალხში დაფანტულ თანხებს დააგროვებენ და ხალხისავე საჭიროებებს მოახმარებენ. მხოლოდ ამ გვარი დაწესებულებების შემწეობით შეიძლება მოწესრიგება ფულის ტრიალისა და ხელის შეწყობა, როგორც სამომხმარებლო, აგრეთვე სხვა გვარ კოოპერატივების. ამიტომ რაც უფრო ადრე შეუდგებით ჩვენ ამ გვარ მუშაობას, მით უფრო მალე უზრუნველვყოფთ საერთო კოოპერაციის

***

მისი ქმარი სვიმონიც არ იყო უდარდელი. არაფერი აკლდა მშვენივრად დამუშავებული მამულ-დედულის პატრონ გამჭრიახ ვაჟკაცს; დოვლათიანი ოჯახი ჰქონდა სავსებით სავსე; მხიარულს, ჰაზრიანს, კეთილად მოქმედს მხოლოდ მეგობრები და კარგის მსურველნი ეხვივნენ გარშამო; მისი ოჯახი პირთამდინ სავსე პინაკი იყო სინოყივრისა. და განა მარტო მისთვის, სხვისთვისაც, მოყვასთათვისაც. განისვენე, სულო! ილხენდე და იხარებდე ქუდბედ დაყოლილო! კიდეცა ლხინობდა სვიმონი თავთავის დროზედ. სუფრულს შემოსძახებდა, სტუმრებს კი არა, ჯამ-ჭურჭელს ააღიღინებდა. ეშხით რომ გადახედავდა შეზარხოშებული თავის ღვინისფერ მეუღლეს მღიმარ-მცინარეს, ყველაც ეშხზედ მოყვანდა, გარემო მყოფთ გულში სიხარულს ამრავლებდა.

—ბედნიერ ეტლზედ არის დაბადებული ჩვენი სვიმონი.

—ნამდვილ! ღმერთს წყალობის კალთა დაუბერტყია მაგის ოჯახში.

—ღირსნიც არიან ეგეც, მაგის ცოლიც: ორივე კარგები, ნამდვილ მეგობარ-მეზობლები სიკეთის მნდომნი.

—იღბლიანია ჩვენი სვიმონი, მოლად უდარდელი და არც მშურს მაგისთვის რამე სიკეთე.

მართლა და ბედნიერი იყო სვიმონი ერთის დახედვით, განგებისაგან კეთილით დაჯილდოვებული, მაგრამ, იმასაც ივივე უცილებელ-უძინებელი დარდი ჰქონდა, რომელიც ღრღნიდა მის ცოლის გულსა: ბალღი რომ არა ჰყვანდა, იმასა ნაღვლობდა სვიმონი, ბედს ემდუროდა; არც ამასა ჰშორდებოდა იგი უჩინარი დარდი, თანა ჰყვებოდა, მარად თვალწინ უდგა. თუ სთველი ჰქონდა დიდებული, უხვობის დღეები, გულსუყობისა, მის კმაყოფილებას მაინც ჩრდილი ედგა მაშუნდებელი: მისი შალიკო არ დახტოდა მსხმოიარე ვაზებში, არ ახმაურებდა იქაურობას ლამაზი ჭიკჭიკით, აკიდოებს არა სჭირდა მითომ ზამთარში შესანახავად. მხოლოდ მეზობლებისა თუ ნაცნობ-ნათესავების ბალღები ჭლაღობ-ჭხარობდნენ ეხლა მის ვენახებში.

—იხარონ, იცელქონ, იმხიარულონ! განა მშურს მაგათთვის რამე! ი ღმერთმა გაუზარდოთ პატრონებს. მაგრამ... ეჰ, ჩემი კი არ ურევია მაგათში და...

რომ არა ჰშურდა პატარებისთვის არაფერი, იქიდანა სჩანდა, თავისი ხელით ურჩევდა საუკეთესო მტევნებს, დაჭვირთულებსა ჭეზავნიდა მათ თავთავიანთ სახლში. ბევრ სხვასაც სთავაზობდა იმათ დედ-მამას.

თუ კალოობა ჰქონდა გახურებული, ფიწლის ტრიალი, კევთა სრიალი, ის ენანებოდა ოჯახიშვილს, რომ კალოს გარს არ დასცანცალობდნენ მისი პატარები. ხილის კრეფაში, ტყისა თუ ველის თვალიერების დროს, ცხენებისა თუ სხვა საქონლის კვება-დამწყსის ჟამს, და ყოველ ნაბიჯზედ სოფლური ცხოვრებისა სვიმონს გვერდით ედგა თავისი შალიკო, უკვე თავისუფლად მოტიკტიკე მალხაზ ბიჭუნა. ეს ოცნება ხანდისხან ისეთ სინამდვილედ გადაიქმნებოდა „რომ შეაკრთობდა ვაჟკაცს, უნებლიეთ ამოიო-

განვითარებას და ჩვენი ქვეყნის ეკონომიურად აღორძინებას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკრედიტო კოოპერაციის გამოსაცოცხლებლად საჭიროა შექმნა ისეთი დაწესებულებისა, რომელიც ფინანსიურადაც ხელს შეუწყობს და საერთო ხელმძღვანელობასაც გაუწევს. ასეთი დაწესებულება კი იქნება **საქართველოს კოოპერატიული ბანკი**, რომლის დაარსება უკვე გადაწყვეტილია კოოპერატიულ ყრილობის მიერ და რომლის წესდება ამ დღეებში უკვე დამტკიცდება.

სამომხმარებლო კოოპერაციის განვითარება ცხოვრების მიერ ხელშემწყობ პირობებთან ერთად დამოკიდებული იყო საერთო ხელმძღვანელობაზეც. ასეთ ხელმძღვანელობას მას უწევდენ. და უწევენ ცენტრალური და ადგილობრივი კავშირები. და აი ასეთი ხელმძღვანელი იქნება საკრედიტო კოოპერაციისთვის საქართველოს კოოპერატიული ბანკი. ამ ბანკისავე საშუალებით გაადვილდება როგორც საკრედიტო, აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის ოპერაციები.

ამიტომ როგორც საკრედიტო, აგრეთვე სამომ-

ხმარებლო კოოპერაციამ მთელი თვისი ყურადღება უნდა მიაქციოს საქართველოს კოოპერატიულ ბანკის დახმარებას და ყოველ მხრივ ხელი შეუწყოს ამ ბანკის ოპერაციების რაც შეიძლება ადრე მოწყობას. ბანკის მოქმედების დაწყება-კი სავსებით დამოკიდებულია აქციების გასაღებაზე. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ საქართველოს კოოპერატიულ ბანკის აქციების გასაღება დიდხანს არ გაგრძელდება და შორე ხანში შეგრავდება ის თანხა, რომელიც საჭიროა ბანკის ოპერაციების დასაწყებათ. ჩვენი კოოპერატორები როგორც ჩვეულნი არიან დაამტკიცებენ კვლავ თავის საქმიანობას და დადგენილებას კოოპერატიულ ბანკის შესახებ სინამდვილეთ გადააქცევენ. ამასთანავე სრული იმედი გვაქვს რომ ჩვენი სახელმწიფოს მესვეურნიც ყოველმხრივ ხელს შეუწყობენ ამ დაწესებულებას, რაც ამავე დროს იქნება ხელის შეწყობა დემოკრატიულ ძალთა განვითარებისთვის და ჩვენი ეკონომიური ცხოვრების განმტკიცებისთვის.

კოოპერატორი.

ხრებდა. თავის ბიჭის წლოვანობას სვიმონი თავის დაქორწინების ხანიდან ანგარიშობდა. განა ვერა ჰხედავდა ვაჟკაცი, რომ ეს მხოლოდ ნატვრა იყო მისი, უსისხლ-ხორცო ოცნება ცალიერი, მაგრამ ეს სახე დაჟინებითი სდევდა მას და მარად სევდის ღრუბლებით აბნელებდა მისი სიამის კაშკაშ მიდამოს. ეს მისი უჩინარი დარდი თავქვე მუწუკივით ასჩენოდა ვაჟკაცს გულზედ და ფარულად აკენესებდა იმის კარგ ყოფას. ხანდისხან აღელდებოდა სვიმონი, თავისთავად გაჯავრდებოდა:

—რაღა ჩვენ დაგვემართა ეს ძნელი საქმე და ზეცამ არ აკუთხა ჩვენი გვირგვინი. გვარში უშვილო სულ არაენ გვყავს, შვილით მრავალი კი ძალიან ბევრი არის. იმათი გვარეულობაც ძალიან მრავლდება, ჩემი ევას მოდგმა და მისხი. ნეტა რად დაგვჩაგრა ბედმა ესე მძლედ?!

მხნე კაცი იყო სვიმონი, საქმის მოყვარული, მაგრამ ხანდისხან, გაცხარებულ მუშაობის ჟამს, უეცრად წამოაგონდებოდა, რომ არა ჰყავდა მემკვიდრე, და მოუღონდებოდა მშრომელი მარჯვენი, მოეღებოდა მოქმედი მუხლი.

—რად მინდა, ამოდენას ვზრუნავ და ვწვალობ? რისთვის ვახვევებ ქონებას ან რად ვამრავლებ სარჩო-საბადებელს? მე ვიცი ჩემი მოდგმა გაიხარებს ჩემი შრომის ნაყოფით! ჩემი სახლები მოწყობილ-მოკაზმული? ეჰ, სხვას დარჩება ჩემ შემდეგ, ვიღაც უცხოს, თუნდაც ნათესავს, მაინც სულ სხვას და არა ჩემ სისხლ-ხორცს, არა ჩემსავე პიროვნებას განმეორებულს თუ განახლებულს. ღირს ღა ზრუნვა და მუშაობა?!.

მაინც მუშაობდა, შრომობდა, ზრუნავდა გაუწყვეტლად: ნაჩვევი იყო გარჯას. იმედიცა ჰქონდა, ეგებ როდისმე ნატვრა ამიხდესო. მაგრამ ეს იმედიც არ კი ძლიერდებოდა თანდათან, თითქო შრებოდა, ცრიატდებოდა, ძალას ჰკარგავდა. მომავალზედ ფიქრი ხანდისხან ძალიან აღონებდა სვიმონს: ის შორეული მისი მყობადი ერთობ ჩამუქებული მოსჩანდა, უსიამოდ ჩაშავებული.

***

გულის უხილავი იარა რომ ასჩენოდა ცოლ-ქმარს, თანდათან ღრმავდებოდა იგი და სწოვდა, იშრობდა იმათ სასიცოცხლო ძალებს, შავად ახმობდა იმათ არსებას, უდროოდ დაჰხრიდა მათ პიროვნებას არარაობის უფსკრულისაკენ.

—გაივლის დრო, მოვა სიბერე და დაგვავიწყდება ყველა ის სიამოვნება, რომელიც ვიგემეთ ჩვენ უზრუნველ და უხვ ცხოვრებაში. მაშინ სულ ერთი იქმნება ჩვენთვისაც, სხვისთვისაც, როგორ ვცხოვრობდით, როგორი გვეცვა, რით ვსაზრდოობდით. წარსულ ცხოვრებიდან ის ღა ეჩანება გავლილ შარაზედ, რასაც მიზანი რამ ჰქონდა საბოლოო, რაც მარად თან მოგყვებოდა ცხოვრებაში სასიკეთო და რაც შესძლებდა ჩვენ შემდეგაც განეგრძო თავისი არსებობა ჩვენ მოსაგონად, მოსახსენებლად. ესეთები არიან მხოლოდ შვილნი დედ-მამისათვის და კეთილნი საქმენი შენნი მთელი ხალხისათვის.

საქართველოს კოოპერატიული ბანკის საორგანიზაციო კომიტეტისაგან.

საქართველოს ყველა კოოპერატივებს.

ამხანაგებო კოოპერატორებო!

საქართველოს კოოპერატიულმა ყრილობამ, რომელიც შესდგა ამა წლის 25—28 მაისს, ერთხმად მიიღო დადგენილება **საქართველოს კოოპერატიული ბანკის** დაარსების შესახებ. ამასთანავე საქმის დასაჩქარებლად არჩეული იქმნა **საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმი**, რომელიც დაუყონებლივ შეუდგა ყრილობის დადგენილების ცხოვრებაში გატარებას.

პრეზიდიუმმა უკვე შეასრულა თქვენ მიერ დანაკისრი; შეიმუშავა წესდება, მოიწვია სარაიონო კავშირების და მსხვილი საკრედიტო კოოპერატივების წარმომადგენლები, რომლებმაც წესდება მოიწონეს და ხელმოწერილი წარადგინეს ფინანსთა სამინისტროში დასამტკიცებლად.

ამხანაგებო, ბანკის მომავალი თქვენს ხელში არის; თქვენზე არის დამოკიდებული—დაიწყებს ბანკი მოქმედებას, თუ საქართველოს კოოპერატიული ყრილობის დადგენილება დარჩება მხოლოდ ქაღალდზე. დარწმუნებული ვართ, რომ ყველა თქვენგანს კარგათ ესმის მნიშვნელობა, რომელიც ექნება ბანკს, როგორც კოოპერატიული თვალსაზრისით, აგრეთვე პოლიტიკურ-ეროვნული მხრივ. დღეს, როდესაც საქართველო ჩამოყალიბდა ცალკე სახელმწიფოებრივ ერთეულად, საჭიროა, რომ ყველა ჩვენი ძალები ემსახურებოდნენ ახლად აღორძინებულ საქართველოს განმტკიცებას. ჩვენი ნორჩი სახელმწიფოს განმტკიცება კი უმთავრესად დამოკიდებულია მის ეკონომიურად აღორძინებაზე. ჩვენი კოოპერატიული მოძრაობა ანვითარებს რა ხალხში თვითმოქმედების პრინციპს და თვითშეგნებას, საუკეთესოდ ემსახურება ხალხის ეკონომიურად აღორძინებასაც. თვით კოოპერატიულ მოძრაობის გასაძლიერებლად-კი საჭიროა ფინანსიური ცენტრი—კოოპერატიული ბანკი. ჩვენი საკუთარი კოოპერატიული ბანკის არსებობა აუცილებელია; უცხო ბანკები, თუ გინდ კოოპერატიული, საკუთარი ბანკის მაგიერობას ვერ შეასრულებენ. ჩვენ უნდა ვიყვეთ თავისუფალი და

—როგორ?

—ესე: საზოგადო სიკეთე განაგრძობს მომავალთ გონებაში შენს ხსოვნას ძვირფასს; შვილნი განაგრძობენ შენ არსებას ხორციელს თუ სულიერს. ეს არის ხილული უკვდავება, ყველასათვის ცხადი, უკამათოდ მისაღებელი და მიღებული. იქნება ერთადერთი უკვდავებაცა, ვინ იცის?! თუ არა, განხმები ქარქვეტისაებრ და გამტვერდები, როგორც ყვავილი შარშანდელი ცისფერ თვალებით მზის შემყურავი.... ჩვენ კი, მე და ჩემი ცოლი, ორივ დაწყევლილები ვართ ბუნებისაგან, უნაყოფოდ განწირულები... განგებისაგან არც იმ შარაზედ ვართ გამოყვანილნი, რომ მოუთხრას ისტორიამ საქმენი ჩვენნი ძველშესამართნი, დაუვიწყარნი.

—მაშ?

—მაშ და განხმეს იგი ვითარცა ყვავილი ველისა, ქარმან აღგაოს იგი პირისგან ქვეყნისა და მოჰფინოს მიდამო; ეძებდე და ვეღარ ჰპოვო ადგილიც მისი. ეეხ! ამოიოხრა ვაჟკაცმა.

და კბილნი დააღრჭინა ჯავრით მოცულმა. სვიმონს კიდევ ის ადარდებდა, რომ უნაყოფობა თითქო აყანდებდა იმათ ცხოვრების ხეს ჯერ ისევ ახალს, თითქო აყვითლებდა მის ხასხას ფოთლებს. ხომ უყვარდათ ერთმანეთი ცოლ-ქმარს, დიდ პატივსა სცემდნენ ერთმანეთს: სიყვარულით შეუღლდნენ იგინი, ორმაგ მისწრაფებით მთლად თანასწორით. არც მერმე, პირველ წლებში ერთად ყოფნისა, შეამჩნიეს იმათ თავიანთ ურთიერთობაში რაიმე აჩრდილი უსიამოვნობისა, ცივი რამ სიო გულთ სიგრილისა; თანდათან უფროც აფასებდნენ ისინი ერთმანეთს: ხასიათის ლამაზად შეფარდებამ თუ შეფერებამ ძალა შესძინა იმათ კავშირს, ხოლო შეჩვევამ მკვიდრ საფუძველზედ დაამყარა მათი სათნო ურთიერთობა.

ეს პირველ ორ-სამ წელს მათის ერთობისა, როცა ისინი აღფრთოვანებულნი მოელოდნენ შეტკბობის ნაყოფს. ოცნებობდნენ იგინი, შორიდან უალერსებდნენ ჯერ ისევ არარაობაში მყოფ პატარას, ამბობდნენ მის მომავალ აზრდაზედ, ბევრ სასაცილო წვრილმანზედაც ნანინანატრის მომავალ ცხოვრებისა. ერთი და იგივე ოცნება, ერთისა და იმავეს ნატვრა, ერთი და იგივე შინაარსი იმათი არსებობისა, ეხლანდელი თუ მომავალი მათი ყოფნისა, მეტ ჰაზრსა სძენდა მათ ლამაზ ერთობას, უფრო მეტ სანდომიანობასა აძლევდა მათ პირად ცხოვრებას.

ეს იყო მეთქი პირველ ხანებში იმათი ცხოვრებისა. თუ ნაყოფიც გამოელო წყნარად და მტკბარად მიმდინარე იმათ ყოფნას, მთლად ბედნიერად ჩასთვლიდნენ თავიანთი თავს თითონაც, სხვის თვალში ისეც ბედნიერები, წუთის სოფლის ცხოვრების მყუდროდ, სიამით მატარებელნი.

***

მაგრამ სრული ბედნიერება არ არსებობს ამ ქვეყნად, ხოლო ერთ უბედობას მოსდევს მეორე. ამ მტრედებივით

დამოუკიდებლად შევდიოდეთ საერთაშორისო კოოპერატიულ ოჯახში.

მაშ, **ამხანაგებო**, დაუჭირეთ მხარი თქვენს ბანკს, რომელიც უნდა იქნეს გამომხატველი და ამსრულებელი თქვენი კოოპერატიული მისწრაფებების, ისე ერთსულოვანად, როგორ ერთსულოვანად და ერთხმად გამოტანილი იყო დადგენილება ამის შესახებ საქართველოს კოოპერატიულ ყრილობაზე; დავამტკიცოთ, ამხანაგებო, რომ ჩვენ კოოპერატორებმა ვიცით არა **ლაპარაკი და ლამაზი რეზოლიუციების გამოტანა, არამედ საქმის კეთებაც**. საქმე კი მოითხოვს დაუყონებლივ გავაჩაღოთ ადგილობრივ მუშაობა, გავაცნოთ კოოპერატორები ბანკის მნიშვნელობას და ხელი შეუწყოთ ბანკის აქციების ფართე გავრცელებას და მათ განაღდებას.

ბანკის ძირითადი თანხა ჯერ-ჯერობით განისაზღვრება **ხუთ მილიონ მანეთით**. თითო აქცია ღირება 1000 მან., გამოიშვება 5000 აქცია; აქციების შეძენის უფლება აქვთ მხოლოდ კოოპერატიულ დაწესებულებებს. საჭიროა, რომ ცალ-ცალკე კოოპერატივებმა შეიძინონ არა ნაკლებ ორი აქციისა, რადგანაც მხოლოდ ორი აქცია აძლევს გადამწყვეტ ხმას ბანკის საქმეებში.

ამდროულად ყველა კოოპერატივებმა უნდა გამოგზავნონ თითო აქციაზე 30 % აქციის ღირებულებისა, ე. ი. თითო აქციაზე 300 მან. და 50 მანეთი საორგანიზაციო ხარჯებისათვის, სულ 350 მან. თითო აქციაზე; მაშასადამე ორ აქციაზე—600 მან. და 100 მან. საორგანიზაციო ხარჯებისთვის, სულ 700 მან., სამ აქციბზე—900 მან. და 150 მან. საორგანიზაციო ხარჯებისთვის, სულ 1050 მან. და სხვ. ფული გამოიგზავნება შემდეგი მისამართით: **ტფილისი. მოსკოვის სახალხო ბანკი, საქართველოს კოოპერატიულ ბანკის სახელდახელო ანგარიშზე ჩასარიცხად.**

იცოდეთ, ამხანაგებო, სანამ სახელდახელო ანგარიშზე არ მოგროვდება ერთი მესამედი ძირითადი თანხისა, ე. ი. $1\frac{1}{2}$ მილიონი მანეთი, არ შეიძლება მოვიწვიოთ ბანკის დამფუძნებელი კრება და მით განვახორციელოთ დიადი საშვილიშვილო საქმე.

ამხანაგური სალამით

საქართველოს კოოპერატიული ბანკის

საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდიუმი.

ტკბილად მოღუღუნე ცოლ-ქმარის ცხოვრებაშიც ნელნელა ამოსისინდა ციი ნიაგი მათ გულის ყვავილის დამაკნინებელ-დამაზრობელი. უგემურება რამ დაეტყო ლამაზად შეზავებულ იმათ ურთიერთობას, თითქო შეყვითლდა მათი სიტკბოების მწვანე ფოთოლი.

გინახავს პირველ ზაფხულშივე ფოთოლ შეყვითლებული ხეხილი დიდის გვალვის გამო გამომშრალ-გამომხმარი? გენანება უდროოდ დამჭკნარ-დაღონებული, ცუდ გუნებაზედ გაყენებს მისი გაცრეცილი სახე უნაყოფო.

გვალვა იყო მათ კერაზედ, გამეფებული, ღიავ ვერ გამოელო მარცვალს გამხმარ დაწვარ ნიადაგზედ. ცეცხლს თუ გაეტუსნა იქ ნიადაგი, დიდ რამ ღველფლს ამოეწვა ამოებუნა. თითქო ჰშორდებოდა ცოლ-ქმარი ერთურთს, განზედ დგებოდა ერთმანეთისაგან; მათი სულიერი არსება პირს თანდათან სხვა და სხვა მხარეს იბრუნებდა. მათ ხორციელ ბუნებასაც გამცალკევებელი რამ ძალა, ეუფლებოდა.

შეკრთა ვაჟკაცი, მუხლი აუთრთოლდა: ცხადად დაინახა ორი გზა, რომლებიც სხვა და სხვა მხარეს მიემართებოდნენ და აშორებდნენ ცოლ-ქმარს ერთმანეთს, თავისი გზა, და გზა თავის მეუღლისა, რომელთან ეგულვებოდა მას ცხოვრების დასრულებამდინ ერთად სვლა, ერთად ღიმილი, თუნდაც ტირილი ან სულთქმა მძიმე.

ევას მაინც უფრო ძლიერ ენანებოდა თავიც და კერაც; უბრძოლველად ვერ დაუთმობდა უგულო ბედსა და იბრძოდა. საბრძოლველ ნიადაგის თუ იარაღის მოსაპოვებლად უკლებლივ ჰკრეფავდა იმისთანა ამბებს, რომლებიც ნუგეშს უღვივებდნენ ცოლ-ქმარს, იმედის ნაკურს ადენდნენ მათ გულში.

—იცი, სიმო, თურმე წითლაურის საავადმყოფოს ახალი ექიმი განთქმულია დედათა ავადობის წამლობაში. სადაც წინად უმსახურნია, ისე მისდევდნენო სხვა და სხვა სენით შებყრობილები, როგორც თეთრ წმინდა გიორგის.

—კარგი ხერხისთვის მიუმართავს! მერმე თუ ისეთი გადარეულები მისდევენ, როგორც თეთრ გიორგის.

—მაინც არა გწამს რა ექიმებისა. ამბობენ, უებარი წამლობა იცის, იშვიათად იქნება არ მოარჩინოს სენით შებყრობილიო.

—თილისმა თუ რამ იცის. ბედი წაღმა დასტრიალებია, რახან მანდილოსნებს ყურადღება მიუქცევიათ: თუნდ ვერ მოარჩინოს, მიმდევარი მაინც დაიკენებს, იმ წამს მიფონაო მისმა წამალმა. ჩვენ მაინც რა?! მადლობაა ღმერთს, სისხლი არ გაკლია და ხორცი; ყაყაჩოსავით ღაჟღაჟებ, უთხრა ქმარმა.

და ხმაში მკაცრი რამ ბგერა შაეჩნდა.

—უსაქმოდ არის, არ იცის, რა უყოს დროს. ეხლა ესეც სხვებს მიბაძავს, გადაეგება ი ვიღაც გოსტატებულს, გაიფიქრა იმან.

და განაგრძო:

—ეჰ, რაც უნდა ქნას. დეე, თავი გაირთას საწყალმა ახალ რამ ავადობით, რომელსაც ის კაცი აღმოუჩენს და უწამლებს. ძალიანი ფულის ბადე კი გაუბია ახალ თეთრ გიორგს: შანა არ შემოაკლდება.

საქართველოს კოოპერატივებში მოსამსახურეთა და მუშათა პირველი ყრილობის ოქმი.

14 ივნისი 1919 წ.

სხდომას დაესწრენ საქართველოს ტერიტორია-ზე მომქმედ კოოპერატივების მოსამსახურეთა და მუშათა რწმუნებულები: თელავიდან—1, მარტყოფიდან—1, სიღნაღიდან—1, აბაშიდან—1, საჯევახოდან—1, ქუთაისიდან.—3, გორიდან—6, გომიდან—5, ლანჩხუთიდან—3, სენაკიდან— 2, ჩოხატაურიდან—1, სამტრედიიდან—3, ტფილისიდან 12—ქიათურიდან 3.

ყრილობა გაიხსნა ამიერ-კავკასიის კოოპერატივების მოსამსახურეთა ყრილობის დამთავრების შემდეგ საღამოს $8\frac{1}{2}$ საათზე ტფილისის სახალხო უნივერსიტეტის შენობაში.

თავმჯდომარეთ არჩეულ იქმნა ი. ცაგარელი, მდივნათ ნ. მოდებაძე.

დღის წესრიგი:

1) საქართველოს ცენტრალურ საბჭოს კომპეტენცია.

2) ფინანსიური საშვალებანი.

3) არჩევნები.

პირველი საკითხის შესახებ აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ თავმჯდომარე კამათით გაშუქებულ აზრს გამოსთქვამს შემდეგ ნაირათ: საქართველოს კოოპერატივებში მოსამსახურეთა და მუშათა ცენტრალური საბჭოს კომპენტენცია არ არის შეზღუდული ამიერ-კავკასიის ცენტრთან შედარებით. განსხვავება გამოიხატება იმაში, რომ საქართველოს ცენტრი მოქმედობს მხოლოდ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში.

დებულება მიღებულ იქნა ერთხმათ.

მეორე საკითხი. ერთხმათ მიღებულ იქნა შემდეგი წინადადება: ადგილობრივი პროფესიონალური კავშირები აგზავნიან ცენტრალური საბჭოს განკარგულებაში მათი შემოსავალის 15 %, თვითონ კი სარგებლობენ თავიანთ წევრების 1 %-ით.

მესამე საკითხი. ცენტრალური საბჭოს წევრებათ არჩეულ იქნენ ერთხმათ: 1. თხილაძე, 2. კავკასიძე პ., 3. საბახტარაშვილი ი., 4. კორძაია ვ., 5. პაპავა ა., 6. კახელაძე ა., 7. ცაგარელი ი.,

კანდიდატებად: 1. თოდუა, 2. კასრაძე, 3. ერქომაიშვილი.

სარევიზიო კომისიაში:—1. მოდებაძე ნ., 2. ჩა-

ქალმა იგრძნო დაფარული უკმაყოფილება ქმრის თქმაში და გული ეტკინა. ამ უსიამოვნობას ხშირადა გრძნობდა ის ამ ბოლოს ჟამს: კაცი ისევ პატივსა სცემდათავს არა ზოგავდა, ცოდნას არ იმეტებდა; შრომის თავის მეუღლეს, არც თავდაჭერის უნარი აკლდა ზრდილს, მაგრამ მუქ გრძნობის გუბეს ველარ იტევდა მისი გული და ნამეტნავისაგან გულისა ხან პირი იტყოდა, ხან მოუხათრებელი რამ მოძრაობა საცნაურ ჰქმნიდა. ქალის გულსა სტვენდა ეს ყველაფერი, სჩაგრავდა, მაგრამ უსიტყვოდ იტანდა ავს, რადგან როგორღაც დარწმუნდა, რომ ოჯახის ყბედობის მიზეზი თითონ იყო, ბუნებისაგან მახინჯად ქმნილი, დედათა შორის გამორჩეული, ბოროტად კრული.

ეხლა მათ არეში მკურნალის გამოჩენამ იმედი ჩაუსახა ბუნებისაგან დაკნინებულ ადამიანს: იმ ჯანაოზ ექიმს უშვილობის მოსახსნელი წამალი კიდეც ეპოვნა, როგორც ხმას ავრცელებდნენ მისი მიმდევარნი. ქმარს მაინც არაფერი უთხრა ამაზედ: წინადაც რამდენჯერმე მოტყუვდა ევა ამ საგნის შესახებ და ქმარიც შეცდომაში შაიყვანა უბრალოდ. გაცრუებული იმედი კი, შენ იცი, უიმედობაზედ უფრო მძიმეა, გულის მლახვრელი.

შეძლება ჰქონდა ქალს, თავისუფალი დრო ბევრად ბევრეული და.... გაიცნო ექიმბაში, იარა მასთან, ვერცხლი უზიდა ჯიბით თუ უბით. ექიმი ძალიან ერთგულად მოეკიდა ჯანსაღ ქალს, საკვირველი რამ დედათა სენი აღმოაჩინა მის ნაგებობაში.

—ამ სენის მოსპობა და თქვენი საწადელის ასრულება ერთდროს იქნება.

—მოხდება კი?

—უსათუოდ, ანუგეშებდა ექიმი და ცდილობდა, ნაყოფს უხვად ითვისებდა.

* * *

გასჭრა გამოცდილის მეცადინეობამ: აუსრულდათ ნატვრა ცოლ-ქმარს. სინამდვილემ ოცნებას გადააჭარბა: რა მშვენიერი იყო ჯერ ისევ ჰყლინტი! ალტაცებული მშობლები უკვე ჰხედავდნენ მათ წიაღში აღმოჩენილ ახალ თამარსა, იერიქონის ვარდს კოკობს ჯერეთ უფურჩქვნელსა. რა ძეობა! რა ძიძა! რა ჰოჰინა! რა ჟრიამული სიხარულისა! რა სიჩუმე თუ სვლა აჩრდილებური! უფლის წყლს ეძინა და ნიავსაც არა ჰქონდა ნება ვერხვის ფოთოლი ეშრიალებინა.

ვინც წლით იზრდებოდა, პაწაწა ელიკო თვით ღვივდებოდა, ღორძინდებოდა. თვალებში აზრი აჩნდა—მშობლებს ფიქრები აუცისკროვნა; გაიღიმა—სახლს სიხარული გადააფინა; ფეხი გადადგა—ჭრელი ოცნებები დაუღურს უვლიდნენ, ასრულებული ნატვრები მწყობრად მუსიკობდნენ. ბულბული რომ ეშხით უსტვენდა, ელიკოს სიცოცხლეს უმღეროდა, იმას ამკობდა. მთვარე თეთრი სხივით მის აკვანს ეძებდა, რომ დაეხედნა მძინარისთვის, მოეალერსნა. შენ არ იცოდი ეს!? რად არა ჰკითხე იმის დედმამას? ღიმილით გეტყოდნენ, დაგარწმუნებდნენ.

ჩანიძე., 3. მოვშენ'ზონი., კანდიდატები: 1. ჩერნიაევი. 2. ძველაია.

ამის შემდეგ თავმჯდომარე მოუწოდებს ამხანაგებს გააჩაღონ ადგილობრივ მუშაობა პროფესიონალური კავშირების შესაქმნელათ და კრებას აცხადებს დახურულათ.

თავმჯდომარე **ი. ცაგარელი.**
მდივანი **ნ. მოდებაძე.**

კორესპონდენციები.

—:—

გორის რაიონის კოოპ. კავშირის კრება.

22 ივნისს ქ. გორში, კოოპერატივთა კავშირის ბინაზედ მოხდა მოკავშირე კოოპერატივთა რწმუნებულების კრება. კრებას დაესწრო საკმარისი რიცხვი წარმომადგენლებისა, ადგილობრივი საზოგადო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, როგორც მაგალ. ქალაქის თვითმართველობის, სამაზრო ერობის და სხვა. ამ კრებაზედ მოვიდნენ სხვა კოოპერატიულ ცენტრების წარმომადგენელნი: ამიერ-კავკას. კოოპ. კავშირის გამგეობის წევრნი, ინსტრუქტორები და აგრეთვე წარმომადგენელნი გორის და სიღნაღის კავშირისა. კრება ძალიან ცოცხალი და ამავე დროს საქმიანი აღმოჩნდა. კრება გახსნა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ სვიმონ მაჭავარიანმა, კანონიერად გამოაცხადა იგი და წინადადება მისცა აერჩიათ პრეზიდიუმი, რომელიც კრების მიერ არჩეულ იქმნა შემდეგი პირებისგან: თავმჯდომარედ—ამიერ-კავკას. კოოპ. კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ე. დარჩია, ამხანაგად—კოოპერაციის ინსტრუქტორი გ. კანდელაკი და მდივნად—ღვინიაშვილი. გორის კავშირის რწმუნებულთა პირველ კრებას მიესალმენ ე. დარჩია ამიერ-კავკას, კოოპ. კავშირის სახელით, შ. გოგებაშვილი მოსკოვის სახალხო ბანკის და გ. კანდელაკი ინსტრუქტორთა კოლეგიის სახელით. შემოდის წინადადება: ვინაიდან გორის კავშირის გამაგრებასა და მის ნაყოფიერს მუშაობას წარსული ხნის განმავლობაში დიდად შეუწყო ხელი ამიერ-კავკას. კოოპ. კავშირმა, ამიტომ მისი გამგეობის დამსწრე წევრები ბ. გოგებაშვილი და ბ. რამიშვილი არჩეულ იქმნან კრების საპატიო თავმჯდომარეებათ. წინადადება მიღებულ იქმნა ერთხმად.

კრების განსახილველად იყო დანიშნული შემდეგი საკითხები: 1) გამგეობის მოხსენება მის მოქმე-

---

ბალღის აკვანთან განახლდა მეუღლეთა სიყვარული, გადახალისდა. კვლავ ადიდდა ტრფობის მდინარე, ახალ სადინელზედ გადავარდა იგი, სხვა საგუბარს მიჰმართა. აქამდისინ ცოლ-ქმრის სიყვარული მაინც ვიწრო ფარგალში იყო მომწყვდეული, თვითმოყვარეობის ქერქი მაინც მთლიო არ გასცლოდა, პიროვნობის ნანჭუმთ ნამსხვრევი ჯერ ისევ ზედ ეკრა. მართალია ქალსაც, ვაჟსაც უკვე გაეგლიჯნათ მხოლოდ ცალკე არსებობის ზღუდე, თვისი კეთილი მოქმედება გადაეტანათ სხვის არსებაში ერთიმეორის პიროვნობაში, გარს მოეხვევნათ მიჯნურობის ქსელი ერთს მეორისათვის, მაგრამ მაინც ამ ორმაგ ტრფობას ჯერ არ მოჰყოლოდა განმამტკიცებელი შედეგი, ის დასკვნა, სადაც ერთად შეგუბდებოდენ ეს წყვილად მიმავალი ნაკადულები. აწ გაჩნდა იგი დრუნგილის სარაჯი და.... ჰაზრიც დაედვა ქალ-ვაჟის არსებობას. ეს დასკვნა ორმაგი ტრფობისა იყო ელიკო, მშვენიერი ყვავილი სულდგმული მოკაქრიალ-მოტიკტიკე, მშობელთა გულის განმანათებელი, მათის ცხოვრების მიზნად მოვლინებული.

ისევ გახალისდა სვიმონი. დინჯის ბეჯითობით მოჰკიდა მან ხელი კერის წარმართვას, როგორც შეჰფერის მამულის ნამდვილ მოტრფიალე ოჯახიშვილსა. შრომობდა—მეეროდა, ისვენებდა—ღიღინებდა; ყოველ წუთს ალერსის გუნებაზედ იდგა გაახლებული. და მის ღიღინს ცოლის ღიმილი აჰყოლოდა მწყობრად, მხიარული ხმაურობა, გულით სიცილი. ხოლო ორივეს ნათელ მოქმედება, სასიამო ახმაურება ყვავილებად ეხვევოდა გარს ქესკუმ ელიკოს, უფლის წულს ხუჭუჭს თვით ჟინიანობაშიც სანდომ სანატრელს.

—ბედი ჰქონიათ კობენაურთ, რომ შვილი მიეცათ, თორემ გახუნდებოდა მაგათი ურთიერთობა სურვილით ქმნილი, მთლადაც ჩაჭკნებოდა.

—იქნება კიდეც ჩაშავებულიყო. ეგრე იცის უმიზნო ცხოვრებამ, შედეგ დაკარგულ ყოველგვარ მოქმედებამ. თუ არ იცი, რისთვის ან ვისთვის ირჯები, სული ჰხდება, შენს მოძრაობას, რაგინდ ლამაზ გზაზედ იყო შემდგარი, თუნდ ია-ვარდით მოფენილ კვალზედ.

—მე ხომ ახლო მეზობელი ვარ მაგათი და ალღოთი ვგრძნობდი მათის ცხოვრების ადრეულ შემოდგომას: თავდავიწყებით ვეღარ ღუღუნებდნენ ერთად, მათ წინ უკვე აჩენილიყო სხვა და სხვა მხარეს მიმავალი ბილიკები.

არც დიდი დაკვირვება უნდოდა ამ სიგრილის შენიშვნას: საზოგადო მოვლენა არის ეს უშვილ-უძეოდ გადაგებულ წყვილთა ცხოვრებაში, თუნდ კეთილ-ქმნილ და სათნოდ მიმართულ მეუღლეთა შორის. უშვილობას ტყუილად კი არა სთვლიდნენ უწინდელნი წყევად გამჩენისა, ხოლო მათი კანონი მთლად საკმაო მიზეზად ცოლ-ქმრის გაყრისა.

***

—ძალიან გამოიცვალა ჩვენი ევა, რაც ბალღი გაუჩნდა: აღარც თეატრი თუ გართობა, აღარც კრებებზედ სიარული; სულ მიატოვა საზოგადო ცხოვრება.

დების შესახებ, 2) გასული—1918 წლის ანგარიში და მის შესახებ სარევიზიო კომისიის მოხსენება, 3) მოგების განაწილება, 4) მომავალი წლის ხარჯთ აღრიცხვა, 5) გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევა და 6) მიმდინარე საკითხები.

კავშირის გამგეობის თავმჯდომარე მოახსენებს კრებას კავშირის დაარსების და გამგეობის მოქმედების შესახებ. იგი აღნიშნავს, რომ გორის მაზრა ორ მთავარ ეკონომიურ ნაწილად იყოფა—ზემო ქართლი, ანუ გომის რაიონი და ქვემო ქართლი გორის ახლოს მდებარე რაიონებით. მაზრის კოოპერატივთა გაერთიანების იდეა დაიბადა ჯერ კიდევ 1916 წელს, რომლის მიწურულში კოოპერატივების ყრილობაზედ დაარსებულ იქმნა „კოოპერატივების ბიურო“, რომელიც იძენდა სურსათს და აწვდიდა კოოპერატივებს. რევოლიუციის შემდეგ კი „ბიუროს“ მოქმედება შეჩერდა სხვა და სხვა მიზეზების გამო. ამ დროს კოოპერატივებმა გომის რაიონისამ, რომელიც მართლაც წარმოადგენს ცალკე ეკონომიურ ერთეულს, დააარსეს სარაიონო კავშირი. ამნაირად მაზრის მხოლოდ მეორე ნაწილის კოოპერატივები დარჩა ისევ შეუკავშირებელი და მით უფრო მწვავეთ იგრძნეს საჭიროება ისეთი ცენტრისა, რომელიც თავს მოუყრიდა ამ კოოპერატივებს, და დაეხმარებოდა მათ, როგორც საქონლის შეძენით, ისე ადგილობრივი ნაწარმოების გასაღებით.

აი ამ გარემოებამ ხელი შეუწყო გორის რაიონის კოოპერატიულ შეკავშირების იდეის განხორციელებას. 30 ივნისს 1918 წ. მოწვეულ იქმნა რაიონის კოოპერატივთა წარმომადგენლების კრება, რომელზედაც შემუშავებულ იქმნა კავშირის წესდება და არჩეულ იქმნა დროებითი გამგეობა.

გამგეობაში მოჰყვნენ: თავჯდომარედ სვ. მაჭავარიანი, წევრებად ალ. ქარუმიძე და კ. თულაშვილი. ეს გამგეობა 18 ივნისიდან შეუდგა კავშირის ოპერაციებს, ხოლო წესდება შეტანილ იქმნა რეესტრში ამ წლის თებერვალში.

ასეთი მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ მომხსენებელი გადადის ოპერაციების დახასიათებაზედ. იმ დაახლოვებით ორი მილიონის საქონლიდან, რომელიც გადუბრუნებია კავშირს, $^3/_4$ შეძენილია ამიერ-კავკას. კოოპ. კავშირიდან და სხვა კოოპერატიულ და საზოგადო დაწესებულებებიდან.

გამგეობამ თავიდანვე მიაქცია განსაკუთრებული ყურადღება ადგილობრივ მეურნეობის ნაწარმოებთათვის ბაზრის შოვნას და ამით ჩარჩ-ვაჭრების ხელი-

---

—სამეზობლოდაც რომ აღარსად დადის. ნახევარი საათი რომ დარჩეს ვისიმე ოჯახში, შინ მიეშურება, ბალღს არა აწყინონ რაო.

—ნეტა რაღად უნდა ძიძა ან გოგო, თუ კი სულ თითონ დასტრიალებს თავს ი პატარას.

—მართალს ამბობ, ბევრი შინა მოსამსახურეები ჰყავთ უქმად.

—ეჰ, აქვთ და ბატონობენ; მაგათი ქონებისათვის რა არის სამი-ოთხი მსახურის შენახვა.

—ხალხში აღარ ენატრებათ გამოსვლა, რადგან შინაც კმაყოფილნი არიან. სახლში თუ გაქვს საუნჯე, კარში რაღად მოსძებნი.

ბედნიერ ვარსკვლავზედ დაბადებულ ცოლ-ქმარს მაინც რაღად უნდა ეძებნათ სხვაგან სიხარულის ნაკვეთნი, ბევრჯერ მხოლოდ შეფერილი ნამსხვრევები თაღლითის კმაყოფილებისა, როდესაც სიამის ნაკადი შადრევნად ამოდიოდა მათვე კერაზედ და მარგალიტის შხეფად ეფინებოდა პირისფერ საგუბარს ალიცლიცებულს.

ვეებერთელა ეზო, სუფთად გადავარცხნილი მწვანე ველის ყვავილებით მკულ-შეფენილი. დაცანცალებს თმახუჭუჭი ელიკო საკარდეს ყვავილიანი სიხარულის ფერებით მოსილი. პეპელებს დასდევს, მფრინავ ყვავილებს, თითონ მოფარფატე ნაზი პეპელა, თითონ ყაყაჩო მოცქრიალ-მოცეკვავე.

ძალიან უყვარდა ყვავილები პატარას, უალერსებდა, თავს დასტრიალებდა: ყვავილები იმისი ტიკინები იყვნენ. ყველა ყვავილს თავისებური სახელი ერქვა, სულ ახალი სახელი უცნაური, პაწაწინასაგან ახლად შეთხზილი. სასაცილო ის იყო, რომ დიდრონებიც, დედ-მამა თუ ძიძა-მსახურები, ყვავილებს იმავ უცნაურ სახელებით აღსენებდნენ, ახლად გამოგონებულ სახელწოდებით.

ნამდვილ ტიკინებს მაგდენ ყურადღებას არ აქცევდა ბალღი. გასინჯავდა, გაათამაშებდა, ფეხს თუ ბორბალს წაატეხდა, თავს მოახდიდა და... მოიმწვანილებდა. უსულოები იყვნენ ის სათამაშოები, არც ლაპარაკი იცოდნენ, არც ღიმილი; რულიც არ მოდიოდათ თვალებზედ. ყვავილები კი ცოცხლები იყვნენ, ამბობდნენ, იღიმებოდნენ, სუნნელებას აკმევდნენ; ზოგჯერ ტირიოდნენ, იცრემლებოდნენ. მაშინ გოგონაც მათთან ღონდებოდა, კიდეც ტიროდა. ავადაცა ხდებოდნენ საწყალი ყვავილები: ფოთლებს დაუშვებდნენ, ჭკნებოდნენ, იფურცლებოდნენ. ელიკო ჰშველოდა შეღონებულებს; წყალს დაუსხავდა, მიწას აუფხვიოდა, ჩხირებს შეუდგამდა ტანგატეხილებს; სწამლობდა, არჩენდა. ხანდისხან ტკბილეულობასაც მიუბყრობდა, შაქარლამას თუ სხვა რამ სანუკვარს. არა სჯამდნენ ბეჩავნი: მადა აღარა ჰქონდათ დაავადებულთ.

სვიმონს, გახსოვს შენ, ტყე ჰქონდა იქვე მახლობლად, პატარა მაგრამ მშვენივრად შენახილი ტანაყრილი ტყე, რომელს ზედ შუაზე ჩამოუდიოდა საწისქვილე წყალი. ამ წყალის პირას, წისქვილის ზევით, ნაკადი უფრო გაშლით მოდიოდა და მთელი ველი ყვავილებით იყო სავსე ახალ გაზაფხულიდან დაწყებული ღრმა შემოდგომამ-

დან მწარმოებელთა განთავისუფლებას. ვინაიდან რაიონის მცხოვრებნი მისდევენ უმთავრესად მეხილეობას, ამიტომ კავშირის გამგეობამაც მიმართა ხილის შეძენას და გასაღებას. წარსული წლის განმავლობაში კავშირმა შეიძინა 400000 მანეთამდის ღირებული ხილი, რომლის დიდი ნაწილი გაასაღა ბაზარზედ, ხოლო უფრო დაბალი ღირსების ხილი გაახმო საკუთარ ხილის სახმობ ქარხანაში და ამ ნაირად მასაც არ დაუკარგა ბაზარი. ამის შემდეგ მომხსენებელი გადადის გასულ წლის ანგარიშის კითხვაზე და მასში მოთავსებულ ციფრების ახსნა განმარტებაზედ.

გორის რაიონის კოოპერატივთა კავშირის 1919 წლის 1 იანვრის

ბ ა ლ ა ნ ს ი.

აქტივი.

ნაღდი კასაში	19,019 — 19
საკრედიტო დაწესებულ. შენახული	14,339 — —
საქონელი გასასყ. ფასით . .	334,344 — 31
კავშირის მართებთ სხვა და სხ. პირებს	128,215 — 38
ქონება	5,842 — 30
ხილის საწყობში ხილი . .	259,653 — 61
	1,038,637 — 29

პასივი.

საპაიო თანხა	14,277 — —
საწევრო გადასახადი . .	6,226 — 50
სათადარიგო თანხა . . .	96,686 — 36
ამ.-კავკ. კავშირიდან წამოღებული საქონლის ვალი. .	275,906 — 79
კავშირის სხვა და სხვა ვალები .	459,770 — 24
ნასესხი კერძო პირებისაგან . .	63,265 — 57
დარჩენილი საქონლის მოგება .	52,859 — 64
წმინდა მოგება 1918 წლისა . .	51,211 — 19
	1,038,637 — 29

დინ. აქ ისეთი ყვავილებიც იზრდებოდნენ, რომლებიც არა გვარობდნენ კობენაურის ფართო ეზოში, გრძელ ღეროიანი ყვავილები ლიტაოდ ზრდილნი ან ვარდზედ გაწლით მოდებული ხაოიანი მდელო ყვავილოვანი. ამათაც უცნაური სახელები ჰქონდათ ახალი: ნებიერთ ყვავილი, ნაზმაზუნა, თვალქყეიალა.

ბევრჯერ მიჰყვანდა იქ სვიმონს თავის პატარა; მხარზედ შეისვავდა ისე მიასეირნებდა. ზოგჯერ მთელი ოჯახობაც მიდიოდა წისქვილისაკენ. მომოიელიდნენ, თვალს გაალებდნენ, საუზმეს მიირთმევდნენ გრილ წყაროს პირას, ბექობიდან რომ გადმოჩქრიალებდა წისქვილის ზევით. უნდა გენახათ, როგორ მხიარულად ბრუნდებოდა პატარა ამისთანა სეირნობიდან, მთლად ყვავილებით მორთული ყვავილი უჭკნობი, ცელქად მოცქრიალე.

***

—დედი, დედიო! ეხლა სად არიან ჩემი ტიკინები, ნეტა საით წავიდნენ?.

—აგერ, შვილო, შენი ტიკინები. თაროზედ ჩამომწკრივებულან და შენკენ იყურებიან; გული გადაჰლევიათ შენ ლოდინშია.

—არა, მაგაებზედ არ გეუბნები. ის ჩემი ტიკინები სად წავიდნენ, ეზოში რომ მყვანან ხოლმე?

—ყვავილები, ქაჯან? ისინი ეხლა შორს არიან, ძალიან შორს! ეშინიანთ სიცივისა და რაკი იგრძნობენ ზამთრის მოახლოვებას, ინდოეთისაკენ გაეშურებიან. დახე, რამოდენა თოვლი სძევს ეზოში და ხეებზედ. აქ რომ იყვნენ ეხლა ისინი, სიცივით დაიხოცებოდნენ.

—უჰ, რამოდენა თოვლია! რა თეთრია! ქათმები ვეღარ გადმოდიან, შიგ იფლობიან, სად არის, დედილო, ინდოეთი?

—მზე რომ ამოდის, იქით არის, ძალიან შორს. იქ სულ ზაფხულია. ეხლა იქ არიან მერცხლებიც, ბულბულებიც, იადონებიც, წეროებიც. იქით მიფრინავდნენ გაბმულ-გამწკრივებულნი.

—ნეტა ჩვენც იქ ვიყვნეთ ეხლა! რატომ ჩვენ კი არ მივყეევართ მამასა?

—ჩვენ ფრთები არ გვასხია, ვერ გავფრინდებით, ჩქარა ვერ მივალთ.

—ყვავილები? იმათაც ხომ ფრთები არა აქვსთ საწყლებს.

—ყვავილები ფუფალას მიჰყავს ხოლმე იქ, თითონ გადააფრენს.

—ახ, ნეტავი მეც—წამიყვანოს ფუფალამ, გადამაფრინოს!

—ჯვარი გწერია, საყვარელო? წარმოსთქა დედამ.

და გაფითრდა, გული შეეხუთა, ცუდმა რამ წინადგრძნობამ დაჰკრა თხემზედ, შეაზრიალა. ჩაიკრა ბალღი გულში, მრავალჯერ დაჰკოცნა.

ძლიერი ზამთარი დადგა, დიდ თოვლიანი. მიწა გაყინული იყო, როცა თოვლი მოვიდა—სამი დღე თოვდა,

აღვნიშნავთ აქ ზოგიერთ ცნობებს: მოკავშირე კოოპერატივთა რიცხვი უდრის 35, რომელთა საპაიო თანხა კავშირში შემოტანილი არის 1 იანვრამდის 14277 მ. ამ თანხის სიმცირე აიხსნება იმით, რომ ჯერ არ არის გადმორიცხული მოკავშირე კოოპერატივების მიერ შეტანილი საპაიო ამიერ-კავკას. კოოპერატივთა კავშირში და გარდა ამისა ყველას არა აქვთ სრულად შემოტანილი დამატებითი საპაიო. საქონელი შეუძენია კავშირის დაარსებიდან 1 იანვრამდის 1,972,791 მან. და 63 კაპ. ამ ჯამში შედის 250,000 მან. ჭირნახულიც, რომელიც გამგეობას უყიდია კოოპერატივებისაგან და მიუწვდია მთავრობისა და სხვა საზოგადო დაწესებულებებისთვის.

სხვა და სხვა პირებზედ და დაწესებულებებზედ არის გაცემული და დაბრუნებული 1,732,115 მან. და მათგან ნასესხი და დაბრუნებული—2,129,713 მ. 93 კაპ.

საანგარიშო დროს განმავლობაში მოგებაში ჩარიცხულია 338,341 მ. 55 კ., აქედან გაწეულია სხვა და სხვა ხარჯები 234,270 მ. 72 კ.

ხილი შეძენილია 341,516 მანეთისა, გაყიდული კი ყოფილა 1 იანვრამდის 81,862 მ. 50 კაპ.

ასეთია კავშირის უმთავრესი ანგარიშების შემოსავალ-გასავალი; ყველა ანგარიშების საერთო ბრუნვა კი უდრის 7850266 მან. და 28 კაპ.

გამგეობის თავმჯდომარის შემდეგ მოხსენებას აკეთებს სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე, რომელიც ადასტურებს ანგარიშში მოყვანილ ციფრებს ს გამგეობის მოქმედებას საერთოდ კეთილსინდისიერად და ფრიად ნაყოფიერად სცნობს. მცირეოდენი აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლიუცია: „მოისმინა რა გორის საარაიონო კავშირის წლიური ანგარიში და გამგეობის მოხსენება თავის მოქმედების შესახებ, რწმუნებულთა კრება წლიურ ანგარიშს ამტკიცებს და გამგეობას მისი უანგარო და ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის გულწრფელ მადლობას უცხადებს“.

ანგარიშში აღნიშნული წმინდა მოგება 51211 მან. და 19 კაპ, კრებამ გაანაწილა შემდეგ ნაირად: ძირითადი თანხაში გადასდო 5121 მან., სათადარიგო თანხაში—10242 მ., საკუთარი შენობის თანხად—10000 მ., გორის სამაზრო ერობის განკარგულებაში გზების შესაკეთებლად კრებამ გადასდო 10000 მან., კოოპერატიული სკოლისათვის—5000 მან., ხოლო დანარჩენი 10848 მ. 19 კ. გადასდო კულტურულ-განმანათლებელ მიზნებისთვის. ეს უკანასკნელ-

---

ადლზედ ააგო. ბურუსი არ იდგა; არც ღრუბელი იყო ცის კამარაზედ ქუდად შეკრული, რომ დედამიწის ბუღი შეეყენებინა, დაბლავე ეტრიალებინა და ჰაერი გაეთბო. მზე ბრწყინავდა, მაგრამ მუხლ მოჭრილი ერთობ დაქვეითებულიყო და მის ელმეცრივ სხივებს სითბო ვეღარ მოსდევდა. შუადღისას რომ მოდნებოდა თოვლის ზედა პირი, საღამოზედ ისევ ითოშებოდა, ღამე მთლადაც იყინებოდა, მთვარე-ვარსკვლავებით გაჯახჯახებულ ღამეში. სახლის ბანებიდან თუ საბძელ-სახვავეების ჩალურ სახურავებიდან მრავლისაგან მრავალი თოში გადმოკიდებულიყო. ახალწლებში ისეთი თოვლი ააგო, რომ წიჩბებით მოუნდათ გზების გაკვლევა თავლებისა და საქათმეებისაკენ, მდინარისაკენ. დაბარდნული დადიოდა სოფელი, თუ ვისმე ტყავ-ტყაპუჭი და სათბილობელი ჰქონდა, ზედ შეემოსნა. სიცივისაგან განაწამები ხალხი იმით ღა ინუგეშებდა თავს, ჭირნახულისათვის კარგიაო ამისთანა თოვლიანი ზამთარი.

სვიმონს ვერ ავიწროებდა ზამთრის სიმძაფრე: დოვლათით სავსე ოჯახი ჰქონდა და მონაგარის დახარჯვის დრო საფიქრებელში ვერ აგდებდა იმას. ეზოში უხვად დალაგებული ზეხმელი, სავსე ბეღელი, გატენილი საბძელი თივის ზვინები, ყოველი კეთილით აღსავსე მარანი, მოლიცლიცებული ქვევრები, გომი პირუტყვით სავსე, განცალკევებული ეზო მფრინველით მოფენილი; სხვა ეტლთა გვერდზედ კოხტა მარხილი. ღმერთს კეთილით სავსე კალთა დაებერტყნა მის ეზო-ყურეში. ზამთარი კიდეც უხაროდა იმას: გაჭირვების დრო უფრო ცხადადა ჰხატავდა მის კეთილდღეობას და თავმოყვარეობას უკმაყოფილებდა მხნე მემამულეს კარგად შეძლებულს. დიასახლისიც ღიმილით გაჰყურებდა ფანჯრებიდან ბუნების სიმკაცრეს ხორცსხმულთა ტანჯვად მიმართულს. რას იდარდებდა: ბნელი ღამეები გაკაშკაშებული ჰქონდა მრავალი ლამპრით, ცივი დღეები დამთბარი ახლდა მოღუღუნე ბუხრებით თუ ღუმელებით, ბუნების სიმწრარე განედევნა სახლიდან დაზეინებულ სანოვაგეთა სიმრავლით, დროზედ ნაგულებ საქმელ-სასმელით. ელიკოს ტიტინი შორს გაფრენილ ბულბულთა სტვენას დაჰნაცვლებოდა ცოლ-ქმრისათვის, მისი ,ცანცალი ჭრელ პეპელათა ფარფატს საამოს, მისი ლოყები ხაშხაშს გადაშლილს, მისი თვალები ლამაზ ყვავილებს ციაგის მომფენთ.

—არის, არის ბედნიერება ქვეყანაზედ! ვაჭ რომ ცოტაა იგი და ისიც სიმწარით მრავალკეცად შემოზღუდული. ხანმოკლეა იგი ხანდაზმით შიგადაშიგ ოდენ ჩამოკვესებული. ქრთილის ტოლაა იგი და წამიერი ცალკე ადამიანსათვის, ოჯახისათვის; მით უფრო ცოტაა იგი მთელი ერისათვის, კაცობრიობისათვის.

მძიმე ზამთარი მშვიდობით მიიწურა სვიმონის ოჯახისათვის. სიმდიდრე ფარ-ხმალად ედგა ბოროტისაგან მოვლინებულ ბნელ ზამთარს და რას დააკლებდა მას სიცივე ან ყინვით ბუნების მიცვალება?! წყვდიადს რომ თვით მზეზედ მიეტანა ძალა, მძლავრად დაეხარა იგი და მეტი სარბიელი მიეცა ბოროტებისათვის, ბედნიერ ოჯახს ეს

ლი თანხა საზოგადო კრებამ შეაძლია ჯილდოთ გამგეობას, რადგანაც მას წარსული წლის სრული ექვსი თვის განმავლობაში არ მიუღია არავითარი სასყიდელი, მაგრამ გამგეობამ გულწრფელი მადლობით სთხოვა კრებას, რომ ეს თანხა გადადებული ყოფილიყო კულტურულ-განმანათლებელ ფონდში, რისთვისაც კრებამ მხურვალე ტაშით დააჯილდოვა გამგეობა.

ამის შემდეგ კრებამ განიხილა გამგეობის და სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილი სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის პროექტი და მცირეოდენი შესწორებით მიიღო. ხარჯთ-აღრიცხვაში ნავარაუდევია წლიური შემოსავალი 800000 მან., ხოლო ხარჯები—დაახლოვებით 650000 მან. მოსამსახურეთა შტატი იმათ საბჭოსთან შეთანხმებით იყოფა 6 კატეგორიად.

პირველ კატეგორიას დაენიშნა ჯამაგირი—1000 მ., მეექვსეს—2000 მ. უკანასკნელ კატეგორიაში შედის ინსტრუქტორი და მთავარი ბუღალტერი.

მიმდინარე კითხვებში დასმული იყო კოოპერატივებისა და თვითმართველობათა შორის დამოკიდებულების საკითხი.

ეს საკითხი იმდენად მწვავედ სდგას ჩვენში და იმდენად საყურადღებოა, რომ თითქმის არც ერთი კოოპერატივში კრება არ მომხდარა ამ ბოლო დროს ისე, რომ ეს საკითხი არ გარჩეულიყოს. იმის მიუხედავათ, რომ გორის კავშირის გამგეობას არ ჰქონია დღის წესრიგში დასმული ეს საკითხი, კრებაზედ წამოიჭრა იგი.

ერთმა რწმუნებულმა შემოიტანა წინადადება, რომ ჩვენში წვრილი საერობო ერთეული აპირებს თავის დუქნის გახსნას და სასურველია კრებამ გამოსთქვას თავისი აზრი ამ მოვლენის შესახებ.

ამ საკითხს პრინციპიალურად შეეხო შ. გოგებაშვილი და დაასკვნა, რომ შეჯიბრება ერობასა და კოოპერაციის შორის სურსათის განაწილებაში პირდაპირ შეუწყნარებელიაო. 'გამოსთქვეს თავისი აზრი კრებაზედ დამსწრე გორის ქალაქის თავმა და ერობის გამგ. თავმჯდომარემ. უკანასკნელმა სთქვა, რომ იგი პრინციპიალურად მომხრეა ერობა არ ჩაერიოს სურსათის და საქონლის განაწილების საქმეში, მაგრამ ერობის ნივთიერად უმწეო მდგომარეობა გვაიძულებს მივმადთოთ ამ საქმეს, როგორც ერთ-ერთ შემოსავლის წყაროსო.

რაც შეეხება გორის სამაზრო ერობასა და ად-

ვერ აშინებდა: მზის ანარეკლი სითბო-სინათლე მაგრა ებურა ოქროს ხელიანს და იცინოდა გამარჯვებული. სიამესაც კი ჰპოვებდა ყისმათიანი სახლობა ავად აქოჩრილ სტიქიონთა ბრძოლაში. ქათიბ-ქურქებში გამოხვეული სახლობა მარხილით რომ სრიალებდა ყინვის კალთებზედ, სიამოვნებდა ზამთრის სურათების ხილვით, სუსხიანი ჰაერის მახვილ შეხებით. იცოდა, ამაოდ აღჭენდა მასზედ კბილებს მკაცრი სიცივე: ის ვერ შეჰყვებოდა იმათ ღმერთთა სადგომივით მოწყობილ სახლში; ფერსაც კი ვერ ართმევდა იმათ მძაფრი ყინვა, მხოლოდ აწითლებდა, აალაღანებდა სილურჯის ბჭემდინაც ვერ მიჰზიდავდა: ვერ მოასწრობდა ვნებას ბოროტი, ხელიდან უსხლტებოდა მსხვერპლი, მისთვის შეუვალ კოშკში შესწორებდა და დასტოვებდა მას მთლად გაავებულს, კბილებ ალესილს.

* * *

ბოლოს მაინც მოასწრო ბოროტმა აჩემებულ მსხვერპლს. პირდაპირი ბრძოლით რომ ვერა ავნო რა ქურდულად შეეტყუა იგი; შხამიანი კბილი გამოჰკრა ოჯახის ყვავილს სამხიარულოს.

ნების კვირაში ლელი დაუჭირა; თოვლი უეცრად დადნა, ნამქერი ჩაწყალდა, ყინვა ატირდა, შემაღლებული მზისაგან ძლეულ ზამთარს სირცხვილეულის ფერი ეცვალა. ზურგი გაუთბა ქვეყანას. შროშნებიც გაჩნდნენ შიგადაშიგ. ბუნება იშმუშნებოდა. გაზაფხულის მახარობელი ენძელა კიდეც გაშლილიყო. მოიხსნეს ადამიანთ თბილი ძონძმანძი. ქურქებს თუ ნაბდებს ხარიხოებზედა ჰკიდებდნენ მზისაგან გამთბარ-გამხნევებულნი. ხეში წყალი ჩამდგარიყო. ახალად ჩასახული კოკრები მსწრაფლ ღვივდებოდნენ, ივსებოდნენ, მზის დასანახად მიისწრაფოდნენ. ბავშვები მხიარულად გამოყენებულიყვნენ.

—წავიყვან, ქალბატონო, ელიკოს, გავასეირნებ: ლამაზადა თბილა.

—გაუფრთხილდი კი, ჩემო ნენევ: ახალმა გაზაფხულმა გატყუება იცის; ზამთარს ჯერაც არ დაჰმტვრევია ბასრი ჰვანგები.

—ვიცი! სხვა რაღა საქმე მაქვს, თუ ამასაც არ გაუფრთხილდები.

ნასიამოვნები დაბრუნდა შინ ბალღი, თვალებ გაბრწყინებული, გახალისებული, თითქო აღელვებული.

—დედილო, ეხლა ისევ მოვლენ მერცხლებიც, ტიკინებიც! ნენემ თქვა, წამოსულებიც იქნებიანო ინდოეთიდან.

—წიმოვიდოდნენ. იქ რაღას გააკეთებენ ეხლ ?! ვერც გაძლებენ იქ: ძალიანა ცხელა, დაიბუგებიან.

ღამე გატეხილი იყო, რომ მძინერე ბავშვს რაღაცა მოუსვენრობა დაეტყო: შუბლს იჭმუხნავდა, მძიმედ სუნთქავდა. გაალვიძა ევამ ქმარი. დახედეს გაქათქათებულ ლოგინში მწოლარე ბალღს. პატარა ტახტში ეწვათ მოაჯირიანში. იქვე ედგათ ბავშვის საწოლი თავიაანთ ახლო. სვიმონს არ ეამა სურათი, მაგრამ გული გაიმაგრა:

კილობრივი კავშირის შორის დამოკიდებულებას, მან სთქვა, რომ ჩვენ ვმუშაობდით სრულის თანხმობით, რაზედაც კავშირის გამგეობის თავმჯდომარეც დაიმოწმა. დასასრულ მან განაცხადა კატეგორიულად, რომ ერობა არავითარ დუქნების გახსნას არ აპირებს და ყოველგვარ სურსათს გაანაწილებს კოოპერატიული დაწესებულებათა საშუალებით. ამით საკითხი გამორკვეულად იქნა ცნობილი. კრების დასასრულს მოხდა არჩევნები. გამგეობაში არჩეულ იქნენ: სვიმონ მაჭავარიანი, ალ. ქარუმიძე და კ. თულაშვილი; სარევიზიო კომისიაში—გ. კარიჭაშვილი, ს. პარკაძე და ლ. ხიმშიაშვილი.

კრება დასრულდა ნაშუადღევის 5 საათზედ, რის შემდეგაც კავშირის გამგეობამ დამსწრე რწმუნებულები და მოპატიჟებული პირნი მიიწვია ამხანაგურ სადილზედ.

გ. ქ.

ქრონიკა.

✦ 21 ივნისს შესდგა დამფუძნებელი კრება საქართველოს კოოპერატიულ ბანკისა. განხილულ იქნა წესდება, რომელიც უკვე წარედგინა ფინანსთა მინისტრს დასამტკიცებლად. ბანკის აქციები არის 5000 და თითო აქცია ღირება 1000 მან., საორგანიზაციო ხარჯებისათვის თითო აქციაზე დაწესებულია 50 მან. აქციების გასაღება უკვე დაიწყო.

✦ 25 ივნისს შესდგა ამიერ კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭოს კრება. ამორჩეულ იქნა დროებითი პრეზიდიუმში: თავმჯდომ. ა. კ. მილაშევსკი. მდივნად ა. ვ. გრიგოლია და ხაზინადრ. შ. ზ. გოგებაშვილი. საბჭომ დაავალა შ. გოგებაშვილს და ი. ცაგარელს შედგენა ყრილობათა საბჭოს წესდებისა და საბჭოს სამოქმედო გეგმისა. შემდეგი კრება დანიშნულია 10 ივლისისათვის.

✦ კვირას 29 ივნისს ქ. ქუთაისში შესდგა ქუთაისის და რაჭა-ლეჩხუმის მაზრებში არსებულ კოოპერატივების წარმომადგენლების კრება. კრებამ გადასწყვიტა დაარსდეს ქ. ქუთაისში ამ მაზრების ადგილობრივი კავშირი ნაცვლად ამიერ კავკასიის კო-

—შენ სულ ესე იცი ქალო! შეიძლება სურდო შეჰხვდა, ღვთის ნათლული ხომ არ არის, არაფერი წამოსტკივდეს. დილამდის გაუვლის. დაწექ!

არ დაწვა ეჭვით შეპყრობილი დედა, აღარ დაიძინა. კარგი ქმნა: ბავშმა მალე ტირილით გამოიღვიძა. თავი სტკიოდა. ოდნავ სიცხე მიეცა. შეშფოთდნენ, იზრუნეს, ღონე ილონეს. ვერ განდევნეს ავადობა. მოიწვიეს ექიმი. გასინჯა, დაფიქრდა. წამალი გამოუწერა. მისცა დარიგება, როგორ უნდა ეფარეზათ ავადმყოფისთვის. წაიყვანეს ექიმი. ქალაქი ახლო იყო, ეტლი შინა ჰქონდათ, ცხენები მზად და არ გაუჭირდათ ექიმის ტარება. გაძნელდა ავადობა. მარჯვე კაცი იყო მკურნალი, დაფიქრებული; თანაც ახალი იყო იქ და არ უნდოდა პირველი შემთხვევავე მარცხით დაჰმთავრებოდა. ებრალებოდა კიდეც პატივისმცემელი ოჯახი: ბუნებით ნაზი გრძნობის ადამიანი გამოდგა და ვერ შესჩვეოდა ჭირისუფალთა მწუხარებას; ავადმყოფების ტანჯვისათვის თვალი არ შეეჩვივნა, გულისყური არ დაჰხშოდა მათ ვაებისათვის. ძალიან გაძნელდა ავადობა. ცოლ-ქმარი თვალებში შეჰყურებდნენ მკუნალს, ის კი ხმას არ იღებდა. რა უნდა ეთქვა, როცა ჰხედავდა, ლამის ეძლია იგი სენს?! ბოლოს დროს დღეში ორჯერ მოდიოდა. დიდხანსა რჩებოდა პატარის სარეცელთან დაღვრემილდაფიქრებული. ერთხელ წასვლისას ხმა აღარ გასცა სვიმონს, მხოლოდ მაგრა ჩამოართვა ხელი. ცუდი ნიშანი! პატარის განწირულ ყოფას ყველანი ატყობდნენ ეხლა.

ბნელი ღამე იყო უმთვარო, ღრუბლიანი. ცა იცრემლებოდა. მამაკვდავ ელიკოს თუ დასტიროდა სვიმონისავით უხმოთ, მხოლოდ ცრემლებით ევა ხატის წინ იყო პირქვე დამხობილი: ევედრებოდა, თავს ახლიდა იატაკს. ხელით კავს მძლედ ეზიდებოდა. დიდხანს ილოცა, დაჟინებით, შეუწყვეტლად, სისხლის ოფლამდინ.

—თანაწარიხდეს, უფალო, ჩემგან სიმწარე ესე შეუზომელი, ცეცხლი ესე უნელებელი! ამოიკვნესებდა ჟამითიჟამად.

ვაებით განადგურებულმა სვიმონმაც კი შენიშნა ცოლის გატაცებული ლოცვა უთავებელი. ჰაზრმა გაურბინა მოეშორებინა ის ხატისათვის; აღარ აასრულა: ბალღის მიმტკნარებული კვნესა სნთქამდა მთელ მის ნებისყოფას

—სვიმონ, მისმინა ყოვლადწმიდამ! მითხრა: სარწმუნოებისაებრ შენისა გეყოს შენ! ახარა ევამ ქმარს.

და შეშმიშად შეანათა მას თვალები. შეკრთა კაცი თუ შეიშალაო, სიმწარით გაიფიქრა.

—დაწექ, გენაცვა, თვალი მოატყუე: აღსრულდეს ნება უფლისა! რაღა შეგვიძლიან ან რით შევებრძოლებით განგებას?!

ჩამოჯდა ქალი. უაზროდ ილიმებოდა. მიდო თავი მამაკვდავის ფერხთით. წამს დაეძინა ღამეებ ნატეხს. მინელდა ბალღის სუნთქვა. მამა ხელიდან აღარ უშვებდა ბავშვის მაჯას თითქო გაციებულს. უნდოდა ამ ბოლოს წუთს გაეღვიძებინა ტანჯული დედა, რამდენჯერმე შეახო ხელი და შეარხია, მაგრამ ვერ აგრძნობინა, გონებაში ვერ ჩააგდო; ხმის ამოღებას კი ვერა ჰბედავდა: ვეღარ გაეგო, ჩა-

ოპერატივთა კავშირის ქუთაისის განყოფილებისა. დაწვრილებითი ანგარიში კრებისა მოთავსდება შემდეგ ნომერში.

✦ სტამბოლიდან დაბრუნდა ცენტრალურ კავშირის გამგეობის წევრი გ. წულუკიძე. მის მიერ შესყიდულია სტამბოლში სხვა და სხვა საქონელი. ჯერჯერობით ფოთის ნავთსადგურში უკვე მოვიდა გემი სამი მილიონი მანეთად ღირებული წუმწუმით. შაქარი და სხვა საქონელი მალე მოვა.

✦ მიწად მოქმედების სამინისტრომ ცენტრალურ კავშირს წარმოუდგინა მოთხოვნილება, რომ კავირმა გადაიხადოს დაუყონებლივ სამ მილიონ ნახევარი მანეთი ვალი იმ საქონლისა, რომელიც იყო შეძენილი მომარაგების კომიტეტისაგან წარსულ წელში. ამის შესახებ 26 ივნისს შესდგა კრება რაიონულ კავშირების წარმომადგენლებისა ცენტრალურ კავშირის გამგეობასთან ერთად. კრებამ დაადგინა: ვინაიდგან მომარაგების კომიტეტისაგან საქონლის მიღება სწარმოებდა სიჩქარით და ღირებულების აღუნუსხავათ, საქონლის გასაღება დაგვიანდა. მრავალი საქონელი რაიონებში ჯერაც არ გასაღებულა და ამ ნაირად ფაქტიურად ცენტრალურ კავშირის ვალი რაიონულ კავშირების ვალია. კავშირის მიერ ამ დიდი ვალის ერთბაშად გადახდა მოასწავებს კავშირის ოპერაციების შეფერხებას, ვინაიდგან რაიონული კავშირები მცირე ხანში ვერ შესძლებენ საქონლის გასაღებას და ვალის გადახდას. ამიტომ ეთხოვოს საქართველოს დემოკრატიულ რესპუკლიკის მთავრობას, რომ მან ვალის გადასახდელად ისეთი ვადა დააწესოს, რომლის განმავლობაში უმტკივნეულოდ შეიძლება ვალის ლიკვიდაცია და ამით საშუალება მისცეს ისეთ სახალხო ეკონომიურ დაწესებულებებს, რომელთაც დიდი მნიშვნელობა აქვთ საერთო სახელმწიფო ეკონომიურ ცხოვრებაში, ნორმალურად გააგრძელონ თავის ოპერაციები.

✦ 27 ივნის შესდგა ცენტრალურ კავშირის ზედამხედველ საბჭოს, რაიონულ კავშირების წარმომადგენლების და გამგეობის შეერთებული კრება. კრებამ განიხილა 1919 წლის ხარჯთ-აღრიცხვა, კავშირის თანამშრომელთა კატეგორიებათ დაყოფვა და ჯამაგირების რაოდენობა. გამგეობის მიერ წარმოდგენილი საერთო ხარჯთ აღრიცხვა მოწონებულ იქნა. ჯამაგირების მინიმუმი მიღებულ იქნა 1200 მან. და მაქსიმუმი 3000 მან. კრებამ გადასწყვიტა მოწვეულ იქმნას კავშირის საზოგადო კრება არა უგვიანეს ენკენისთვისა.

✦ იბეჭდება და მალე გამოვა ცენტრალურ კავშირის ინსტრუქტორთა კოლეგიის მიერ დამუშავებული მასალები საქართველოს კოოპერატიულ მოძრაობის შესახებ 1917 წლის ანგარიშების მიხედვიდ. ნაწ. I.

ეძინა ბავშვს თუ ჩაიფერფლა სასიკვდილოდ. ირაკრაკა. თითქო უფრო წყნარად სუნთქავდა პატარა. დააკვირდა,— შუბლზედ ოფლის ცვარები წამოსდგომოდა. ოფლმა იმატა.

—ჭირის ოფლია თუ! გაურბინა სვიმონს თავში.

ქალს თითონ გამოეღვიძა. დახედა ბავშს და გაუღიმა ქმარს, ხატზედ ანიშნა. სვიმონი პირმოკუმული იჯდა შეძრწუნებული: უბედურობა უბედურობას არ დაერთოსო, ქალი არ შეირყასო, ფიქრობდა. ბავშვს ეძინა ოფლში გაწუწულს. მოვიდა ექიმი, დახედა. სახე გაუნათდა. მიულოცა:

—გადაიტანა ბავშვმა საშინელი ავადმყოფობა. წუხელ უმწვერვალესი სიძლიერე იყო სენისა. მოტყდა ბოროტი! სთქვა მკურნალმა ღიმილით.

—მოგვეხედა უფალმა?!

აკი გითხარ წუხელ, გამოგვიბრუნდება მეთქი პატარა, დასძინა ქალმა.

და ექიმს უამბო თავისი ლოცვა, ისიც, ხმა რომ გაიგონა სანუგეშო. მკურნალი დააკვირდა ქალს. საწინააღმდეგო სრულებით არაფერი უთხრა. დამამშვიდებელი წამლები მისცა, გატანჯული ხარ, გულს გიპოვისო, ყუთს მოგცემსო.

მოიწმიდა ცა. რა ლაჟვარდი იყო, უმანკო, გამჭვირვალე! მოიშორა ბუნებამ გაზაფხულის ნესტი და ნისლი. აღარ იცრემლებოდა; ღიმებოდა ტურფად მკობილი. მთელი ეზო სავარდედ გარდაქმნილიყო. ტანშეყრილი მდელო ვ ავილად გადაპენტილიყო. ფერად ფერადი პეპელები, ეს მფრინავი ყვავილები, თავს დაჰფარფატებდნენ მათთვის უხვად გაშლილ ტაბლას. ახლადშეფოთლილ ხეხილებიდან მფრინველთ ჟრიამული გაისმოდა სამხიარულო.

—დედილოჯან, მოსულან ტიკინები ინდოეთიდან! ეუბნებოდა ელიკო დედას.

და დაცანცალებდა ყვავილებთ შორის, დაცქრიალებდა.

—მოვიდნენ, შვილო, შენ სანახავად, შენ გასახარად!

პირმღიმარე სვიმონი აივანიდან დაჰყურებდა დედა-შვილს, ულვაშქვეშ იღიმებოდა; ახალ სიკეთესაც მალე ელოდა კმაყოფილი.

—აკი არ არისო ქვეყნად ბედნიერება. ყოფილა! ღმერთო, ნუ მიწყენ კმაყოფილებას, ჩემო მფარველო!...

ვასილ ბარნოვი.

1919 წ. მაისის 10-ს.

5 149
1919

ამიერ-კავკასიის კოოპერატივთა კავშირის წიგნის საწყობში იყიდება შემდეგი საანგარიშო წიგნები და კოოპერატიული ლიტერატურა:

	მ.	კ.
1) კასა მემორიალი ქართულად . . .	18	50
2) „ „ რუსულად. . . .	18	50
3) „ „ სომხურად. . . .	18	50
4) საქონლის დღიური ქართულად . .	25	00
5) კასის დღიური „ . . .	25	00
6) შემოსავლის ორდერი ქართულად. .	06	50
7) „ „ სომხურად . .	06	50
8) გასავლის ორდერი „ . . .	06	50
9) „ „ ქართულად . .	06	50
10) „ „ რუსულად . .	06	50
11) ნორმალური წესდების ფურც. ქართ.	00	75
12) ნორმალური წესდება წიგნაკებათ .	00	20
13) ნორმალური კავშირის წესდება რუსულ	00	35
14) დარიგება ნორმალური წესდების შესავსებათ რუსულად	00	05
15) წლიური ანგარიშის ბლანკი რუსულ.	00	40
16) „ „ „ ქართულ.	00	74
17) თვიური ანგარიშის „ „	00	35
18) „ „ „ რუსულ.	00	25
19) საქონლის ასაწერი სია რუსულად .	00	40
20) „ „ „ ქართულად .	00	60
21) საწევრო საანგარიშო წიგნ. ქართ. .	00	30
22) „ „ „ სომხ. .	00	30
23) მარკების საანგარიშო დღიური ქართ.	02	50
24) ყოველ-კვირეული საქონლის დღიური ქართულად.	04	00
25) კასის დღიური სომხურად. . . .	11	50
26) საქონელის დღიური სომხურად . .	11	50
27) უფლება და მოვალეობანი კოოპერატორისა ქართულად	00	35
28) ქონების წიგნი ქართულად . . .	14	00
29) პირადი ანგირეშების წიგნები ქართ.	14	00
30) საქონლის ჩასაწერი წიგნაკები რუსულად (Заборная кн.)	00	50
31) ბლანკები „ანგარიშის“ რუსულად .	00	10
32) „ „დაკვეთის“ „ . .	00	10
33) „ „განცხადებისა“ „ . .	00	75
34) დამფუძნებელი კრების ოქმის ბლანკი ქართ.	00	15
35) „ „ „ რუსულ.	00	15
36) ნორმალური წესდება სომხურ. წიგნ.	00	30
37) ახალი კოოპერატიული კანონი რუს.	00	40
38) ბლანკი „განცხადებისა“ ქართულად.	00	75
39) საქონლის წიგნი რუსულად . . .	20	00
40) „ „ ქართულად. . .	20	00
41) საწევრო საანგარიშო წიგნაკები რუს.	00	50
42) საქონლის წიგნი (შემოსავალ-გასავლით) ქართულად	20	00
43) პაიშჩიკების წიგნი ქართულად . .	18	00
44) „რესკონტრო“ ქართულად . . .	20	00
45) ოქმის წიგნი „ . . .	14	00

და სხვა წიგნები.

ლიტერატურა:

1) მოკლე სახელმძღვანელო მომხ. კოოპ. ანგარიშთა წარმოებისა	07	00
2) დადგენილებანი კავკასიის 1-ლ კოოპერატიულ ყრილობისა ქართ. . .	00	25
3) „ „ „ რუს.	00	35
4) ახალი კოოპერატიული კანონი ქართ.	00	50
5) „ „ „ რუს.	00	40
6) პოლიტიკურ ცოდნათა ანბანი ქართ.	01	05
7) სასოფლო-სამეურნეოსაზ. მნიშვნელობა წვრილ მიწად-მოქმედებაში ქართ.	00	40
8) კოოპერატორის სახელმძღვანელო II ნაწილი	02	00
9) კოოპერატიულ ევროპაში ქართ. .	15	00
10) სამეფო მომხმარებლისა	01	00
11) პოლიტიკურ ეკონომიის საფუძველი წიგნი I-ლი	13	00
12) პოლიტიკურ ეკონომიის შესავალი	07	00
13) ოქროს წყარო	03	00
14) „კოოპერატორის სახელმძღვანელო“ ნაწ. I	03	50
15) „შვიდი მნათობი“ № 1	25	00
16) კოოპერატორის მრწამსი ქართ . .	00	55

პლაკატები, საგიტაციო ფურცლები და სხვა.

ტფილისი. სტამბა ამიერ-კავკ. ყოოპ. კავშირისა. პლეხანოვის პრ. 71.